

Koua Poirrez v. France

კოუა პოირეზი საფრანგეთის წინააღმდეგ

საჩივარი N40892/98

გადაწყვეტილება 30.09.2003

ფაქტები

მომჩივანი, კოტ-დ'ივუარის მოქალაქე, არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (შშმ პირი). იგი 1987 წლის ივლისში იშვილა საფრანგეთის მოქალაქემ. მომჩივანმა იმავე წლის დეკემბერში განცხადება გააკეთა მოქალაქეობაზე, თუმცა უარი მიიღო იმ საფუძვლით, რომ იგი უკვე სრულწლოვანი იყო განაცხადის შეტანისას. მან ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ამის მიუხედავად, მას მიენიჭა ბარათი რომელიც ადასტურებდა მის შშმ პირობას, თუმცა საოჯახო შემწეობის სამსახურმა უარი თქვა მისთვის მიენიჭებინა ზრდასრული შშმ პირისთვის განკუთვნილი შემწეობა. 1990 წლის ივნისში, მომჩივანმა მიმართა მეგობრული შეთანხმების კომისიას, რომელიც დაეთანხმა ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ ის არც საფრანგეთის მოქალაქეა და არც იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელთანაც საფრანგეთს ორმხრივი ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, როგორც ამას მოითხოვდა სოციალური დაცვის შესახებ კანონი. ამის შემდეგ, მომჩივანმა მიმართა სოციალური დაცვის სასამართლოს, რომელმაც 1991 წელს გადაწყვიტა, რომ შეეჩერებინა საქმისწარმოება და ლუქსემბურგში მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს მიმართა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად. 1992 წლის დეკემბერში აღნიშნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა შეესაბამება ევროპულ დებულებებს. 1993 წლის მარტში სოციალური დაცვის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის საჩივარი სამართლის საკითხებთან დაკავშირებით.

სამართალი

30. უპირველეს ყოვლისა, მომჩივნმა გაასაჩივრა სტრასბურგის სასამართლოს 2001 წლის 13 მარტის განჩინება, რომელიც მის საჩივარს ნაწილობრივ დასაშვებად აცხადებდა. სასამართლომ მისი საჩივარი საფრანგეთის მოქალაქეობის მოთხოვნის პროცედურასთან დაკავშირებით აშკარად დაუსაბუთებლად ცნო.

31. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის მიერ მოყვანილი არგუმენტები არ არის ისეთი, რომ ექვექვემ დააყენოს თავისი გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით.

A. კონვენციის მე-14 მუხლის საგარეუდო დარღვევა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში

1. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე არსებული არგუმენტები

33. მთავრობა ამტკიცებდა, რომ საკუთრების უფლება რომელიც დაცულია 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით, არ მოიცავს არაკონტრიბუციულ სარგებელს, როგორცაა შემწეობა სრულწლოვანი შშმ პირებისთვის. ამ შემწეობამ მიიღო დამხარების ფორმა და არა გადახდის ფაქტობრივი ან შეძენილი უფლება, რაც ჩანს იმ ფაქტიდან, რომ საფრანგეთის კანონმდებლობით ის არ იყო წინასწარ განსაზღვრული შემწეობა და ექვემდებარებოდა გარკვეულ პირობებს. საქმეში *Gaygusuz v. Austria* (judgment of 16 September 1996, Reports of Judgments and Decisions 1996-IV) მთავრობამ განაცხადა, რომ მხარს უჭერდა მათ არგუმენტებს რაგდან, მათი აზრით, სტრასბურგის სასამართლომ პირდაპირ აღნიშნა, რომ სოციალური შემწეობის უფლება დაკავშირებული იყო შენატანების გადახდასთან. მთავრობის განცხადებით, *Michael Matthews* -ის საქმეში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებშიც დაეთანხმნენ ბრიტანეთის მთავრობის განცხადებებს, არ იძლეოდა იმის დადგენის საშუალებას, იყო თუ არა აღნიშნული სარგებელი „საკუთრება“ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით (see *Michael Matthews v. the United Kingdom*, no. [40302/98](#), decision of 28 November 2000 and judgment of 15 July 2002). შესაბამისად, მთავრობამ განაცხადა, რომ საჩივარი დაუშვებელი იყო *ratione materiae*.

34. მომჩივნის მტკიცებით, სრულწლოვანი შშმ პირის შემწეობა უტოლდებოდა „საკუთრებას“ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე და მისთვის მისი მინიჭების უარის თქმით დაირღვა ამ საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება. იგი ამტკიცებდა, რომ უარი ეფუძნებოდა დისკრიმინაციულ კრიტერიუმებს, კერძოდ, მისი უცხო ქვეყნის მოქალაქეობის ფაქტს, რომელიც არ იყო ევროკავშირის წევრი ქვეყანა და რომელსაც არ ჰქონდა დადებული ურთიერთშეთანხმება სრულწლოვანი შშმ პირებისთვის შემწაობასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ „საკუთრების“ ცნება ფართოდ იყო გავრცელებული სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში. მომჩივანმა, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე, აღნიშნა, რომ *DIOP*-ში (რომელიც ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის გადახდილი პენსიების კრისტალიზაციას), პარიზის ადმინისტრაციულმა სააპელაციო სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილებასაც დაეთანხმა Conseil d'Etat 2001 წლის 20 ნოემბერს (სახელმწიფო საბჭო, რომელიც

წარმოადგენს საფრანგეთის მთავრობის მრჩეველს კანონპროექტების, განკარგულებებისა და გარკვეული დადგენილებების მომზადებაში), უარყო ეკონომიკის, ფინანსთა და მრეწველობის მინისტრის არგუმენტი, რომ პენსია არ წარმოადგენდა „საკუთრებას“ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, რადგან ვერ დაადგინა ურთიერთკავშირი გადახდილ შენატანებსა და სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ პენსიებს შორის, რომელიც, უფრო მეტიც, საკუთარი ბიუჯეტიდან აფინანსებდა ამ სპეციალურ სქემას. მომჩივანმა, ადმინისტრაციული პრეცედენტული სამართლის შემდგომ მაგალითებზე მითითებით დაასკვნა, რომ იმის გამიჯვნა იყო თუ არა სარგებელი შენატანებიდან მოკრებილი, არასწორი იყო. მან ასევე, მოიხსენია მინიმალური სოციალური დახმარების მაგალითი (რომელსაც იგი იღებდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში), რომელიც იცვლებოდა პროფესიული საქმიანობიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავლის მიხედვით და რომელიც პოტენციურად შეეძლო მოეთხოვა 25 წლიდან ნებისმიერ პირს, რომელსაც არასდროს უმუშავია და რომელიც არ ექვემდებარება ეროვნების რაიმე პირობებს. შესაბამისად, მას მიაჩნდა, რომ მას გააჩნდა უფლება, რომელზეც უკანონოდ ეთქვა უარი მისი ეროვნების ნიშნით დისკრიმინაციის გამო.

35. ბ-ნი ბერნანდ პოირეზმა, მომჩივნის მშვილგებელმა მამამ, რომელსაც უფლება მიეცა ჩართულიყო წინამდებარე სამართალწარმოებაში, განაცხადა, რომ AAH (შემწეობა სრულწლოვანი შშმ პირებისთვის) წარმოადგენდა „საკუთრებას“ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით.

2. სასამართლოს შეფასება

36. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მე-14 მუხლი ავსებს კონვენციისა და მისი ოქმების სხვა არსებით დებულებებს. იგი არ არსებობს დამოუკიდებლად, ვინაიდან მოქმედებს მხოლოდ ამ დებულებებით დაცულ „უფლებებსა და თავისუფლებებთან“ მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ მე-14 მუხლის გამოყენება სულაც არ გულისხმობს ამ დებულებების დარღვევას - და ამ დონემდე იგი ავტონომიურია - მისი გამოყენება შეუძლებელია თუ სადავო ფაქტები არ ექცევა ამ უკანასკნელის ფარგლებში (see *Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom*, judgment of 28 May 1985, Series A no. 94, p. 35, § 71, and *Inze v. Austria*, judgment of 28 October 1987, Series A no. 126, p. 17, § 36).

37. სტრასბურგის სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მან უკვე დაადგინა, რომ გადაუდებელი დახმარების გაწევის უფლება - იმდენად, რამდენადაც

გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით - არის ფულადი სახის უფლება 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიზნებისათვის. მაშასადამე, ეს დებულება გამოიყენება ისე, რომ არ იყოს საჭირო მხოლოდ გადაუდებელი დახმარების უფლებასა და „გადასახადების ან სხვა შენატანების“ გადახდის ვალდებულებას შორის კავშირზე დამოკიდებული (see *Gaygusuz*, cited above, p. 1142, § 41). ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში მომჩივანმა გადაიხადა შენატანები და შესაბამისად, უფლება ჰქონდა ესარგებლა გადაუდებელი დახმარებით (იქვე.გვ. 1141-42, § 39) არ ნიშნავს, საპირისპირო მნიშვნელობით, რომ არაკონტრიბუციული სოციალური დახმარება, როგორცაა AAH არ წარმოშობს ფულად უფლებას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე.

38. წინამდებარე საქმეში სადავო არ იყო, რომ მომჩივანი რეგისტრირებული იყო როგორც 80 % შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მისთვის გაცემული იყო შშმ პირთა ბარათი. მის მოთხოვნას, სრულწლოვან შშმ პირთათვის განკუთვნილი შემწეობით სარგებლობის შესახებ, უარი ეთქვა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის არც საფრანგეთის მოქალაქე იყო და არც იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც ხელი მოაწერა AAH-თან მიმართებაში ურთიერთშეთანხმებას.

შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ შემწეობა შეიძლება მიენიჭოს როგორც საფრანგეთის მოქალაქეების, ასევე იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც ამ მიზნით გააფორმეს საფრანგეთთან ურთიერთშეთანხმება.

39. ევროპული სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ მომჩივნის წარმოშობის ქვეყანას არ ჰქონდა ხელმოწერილი ასეთი შეთანხმება მაშინ, როცა მომჩივნის მიმართ გაცემული იყო შშმ პირის ბარათი, რომელიც ცხოვრობდა და მუშაობდა საფრანგეთში და ნაშვილები იყო საფრანგეთის მოქალაქის მიერ და ასევე, აქამდე იღებდა მინიმალურ სარგებელს, თავისთავად არ ამართლებდა მისთვის სადავო შემწეობაზე უარის თქმას. ვინაიდან შემწეობა ასევე განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, სტრასბურგის სასამართლო ასევე მიუთითებს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 9 აპრილს მიღებულ რეკომენდაციაზე N R (92) 6, რომელიც მიზნად ისახავს შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკისა და ზომების და სოციალური უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნების მიღებას.

40. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ შემწეობის მინიჭებისათვის ეროვნების პირობა გაუქმდა 1998 წლის 11 მაისის კანონით. შესაბამისად, AAH

მინიჭებული იქნა ეროვნების საფუძველზე ყოველგვარი განსხვავების გარეშე ამ აქტის ამოქმედების შემდეგ. მომჩივანი მას მართლაც იღებდა 1998 წლის ივნისიდან ანუ აქტის მიღებიდან დაუყოვნებლივ.

41. საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლო თვლის, რომ მომჩივნისთვის შემწეობის მინიჭებაზე უარი 1998 წლის ივნისამდე ეფუძნებოდა კრიტერიუმებს - საფრანგეთის მოქალაქეობის ფლობა ან იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომელმაც ხელი მოაწერა საფრანგეთთან შეთანხმებას AAH-თან დაკავშირებით - რაც წარმოადგენს განსხვავებას კონვენციის მე-14 მუხლის მიზნებისთვის.

42. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მომჩივანს ჰქონდა ფულადი უფლება 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიზნებისათვის და რომ კონვენციის მე-14 მუხლი ასევე გამოიყენება წინამდებარე საქმეში.

B. კონვენციის მე-14 მუხლთან შესაბამისობა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე

1. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე არსებული არგუმენტები

43. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის საჩივარი მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, იყო დაუსაბუთებელი. მათ აღნიშნეს, რომ განსხვავება 1998 წლის კანონამდე, მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის, სრულწლოვან შშმ პირთათვის შემწეობის მინიჭებისას, ატარებდა ლეგიტიმურ მიზანს, რაც წარმოადგენდა ბალანსს სახელმწიფოს შემოსავალსა და ხარჯებს შორის. ასევე, დაკმაყოფილებული იყო პროპორციულობის მოთხოვნა, რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ ჩამოერთვათ ყველანაირი რესურსი, ვინაიდან მათ, სხვა სკითხვებთან ერთად, ჰქონდათ RMI-ზე (მინიმალური შემოსავალი) უფლება. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს არ შეეძლო მიეღო საფრანგეთის მოქალაქეობა განცხადების გზით, მას შეეძლო მოეთხოვა მისი ნატურალიზაცია და ესარგებლა სრულწლოვანი შშმ პირთათვის განკუთვნილი შემწეობით, მოქალაქეობის პირობით დისკვალიფიკაციის გარეშე.

44. მომჩივანმა გაასაჩივრა ეს განცხადება, თვლიდა, რომ სრულწლოვანი შშმ პირთა შემწეობა იყო ფაქტობრივი ფულადი უფლება, რომელიც შეძენილი იყო შემოსავლის მაქსიმალური ლიმიტისა და შეზღუდული შესაძლებლობის

კონკრეტული მაჩვენებლის პირობის დაცვით. ამგვარად, CAF-ის (*caisse d'allocations familiales* -საოჯახო შემწეობა) უარით მისთვის შემწეობის მინიჭებაზე, დაირღვა მისი უფლება მისი ეროვნების გამო.

45. ბ-ნი ბერნანდ პოირეზის განცხადებით, მოქალაქეობა ასევე მოხსენიებულია მე-4 დამატებითი ოქმის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში და რომ ეს წარმოადგენდა დისკრიმინაციის საფუძველს სადავო შემწეობის მინიჭებასთან დაკავშირებით.

2. სასამართლოს შეფასება

46. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, განსხვავება დისკრიმინაციულია მე-14 მუხლის შესაბამისად, თუ მას „არ აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება“, ანუ თუ ის არ მისდევს „ლეგიტიმურ მიზანს“ ან თუ არ არსებობს „გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და მიზანს შორის, რომლის განხორციელებასაც ისწრაფვის“. უფრო მეტიც, ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული ფარგლებით იმის შეფასებისას, ამართლებს თუ არა და რამდენად ამართლებს სხვაგვარად მსგავს სიტუაციებში განსხვავებები, განსხვავებულ მოპყრობას (see, *inter alia*, *Gaygusuz*, cited above, p. 1142, § 42; *Larkos v. Cyprus* [GC], no. [29515/95](#), § 29, ECHR 1999-I; and *Thlimmenos v. Greece* [GC], no. [34369/97](#), § 40, ECHR 2000-IV). თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზები უნდა დასახელდეს, რომ სტრასბურგის სასამართლომ კონვენციასთან თავსებადად მიიჩნიოს მხოლოდ ეროვნების საფუძველზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობა (see *Gaygusuz*, cited above, p. 1142, § 42).

47. წინამდებარე საქმეში, ევროპული სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მომჩივანი კანონიერად ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც იგი იღებდა მინიმალურ კეთილდღეობის შემწეობას, რომელსაც არ გააჩნია ეროვნების პირობა. იგი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების უარი მისთვის სადავო შემწეობის მინიჭებაზე, ეფუძნებოდა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მას არ გააჩნდა მოთხოვნილი მოქალაქეობა, რაც იმ დროისთვის, სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის L.821 -1 მუხლის შესაბამისად შემწეობის მიღების წინაპირობა იყო.

48. გარდა ამისა, არ არის დადგენილი, ან თუნდაც სადავო, რომ მომჩივანი არ აკმაყოფილებდა სხვა ნორმატიულ პირობებს, რომლებიც მას უფლებას აძლევდნენ მიეღო სადავო სოციალური დახმარება. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლოს მხოლოდ იმის აღნიშვნა შეუძლია, რომ მომჩივანმა მიიღო AAH,

1998 წლის 11 მაისის კანონის მიღების შემდეგ, რომელიც აუქმებდა მოქალაქეობის პირობას. აქედან გამომდინარე, იგი იმყოფებოდა საფრანგეთის მოქალაქეების ან იმ მოქალაქეების მგავს სიტუაციაში რომელთა ქვეყანას შორის დადებული იყო ურთიერთშეთანხმება შემწეობის მიღების შესახებ. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ უარი - მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის გამო - ეროვნული სოლიდარობის ფონდის მიერ დამატებით შემწეობაზე საფრანგეთის რეზიდენტი მომჩივნისთვის, რომელიც იღებდა შშმ პირის პენსიას ფრანგული სქემის მიხედვით, არღვევს კონვენციის მე-14 მუხლის და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს.

49. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მთავრობის მიერ წამოყენებული არგუმენტები არაა დამაჯერებელია. სოციალური შეღავათებით სარგებლობის უფლებით განსხვავებული დამოკიდებულება საფრანგეთის მოქალაქეებს ან იმ ქვეყნის მოქალაქეებს შორის, რომლებმაც ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებას და სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის, არ იყო დაფუძნებული რაიმე „ობიექტურ და გონივრულ დასაბუთებაზე“ (see, conversely, *Moustaquim v. Belgium*, judgment of 18 February 1991, Series A no. 193, p. 20, § 49). მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის საფრანგეთს არ ჰქონდა კოტ-დ'ივუართან ხელშეკრულება დადებული, კონვენციის რატიფიცირებისას მან ვალდებულება აიღო, რომ უზრუნველყოს კონვენციის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით „ყველა, ვინც იმყოფება მის იურისდიქციაში“, რაშიც უდავოდ ექცეოდა მომჩივანი (see *Gaygusuz*, cited above, p. 1143, § 51).

50. შესაბამისად, სახეზე იყო კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში.